№ 162 აგვისტო 6, ხუთშაბათი 1887 აგვისტო 6, ხუთშაბათი № 162

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 8 აგვისტოს.

ქართული წერის დედანი
ვ. გაბიჩვაძისა,
გამოცემული ი. მურადოვისაგან,
ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.
ფასი 25 კაპ.
ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.
იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—1)

შინაარსი: ტფილისი, 5 აგვისტო.—ახალი ამბავი.—ცალკე წერილები: ქართული წარმოდგენა, ა—სა.—დაბა-და-სოფელი: ქუთაისი.—ნარკვევი.—წვრილი ამბები.—გასართობი.—დეპეშა. «ივერიის» ფოსტა.—საკალენდარო ცნობანი.—საშიარო ცნობანი და განცხადებანი.
ფელეტონი: მზის დაბნელება ხვალ, 7 აგვისტოს, გრ. ყ—ძისა

ტფილისი, 5 აგვისტო

მკითხველებმა უკვე უციან, რომ ბოლგარიას დაუდგა ახალი ხანა თვისის ისტორიისა. ის საქმე, რომელმაც ამოდენა ბაასი და გამათობა გამოიწვია მწერლობასა და დიპლომატიაში, ჯერ-ჯერობით იმით დაბოლოვდა, რომ პრინცმა კობურგისამ გაბედა და შეიწყნარა ბოლგარიის საერო კრების თხოვნა და გადაწყვეტილება და შევიდა ბოლგარიაში მთავრად. როგორც მკითხველებმა უწყიან, სხვა-და-სხვა სახელმწიფონი სხვა-და-სხვა ნაირად უყურებდნენ როგორც თვით საერო კრებას, აგრეთვე მის გარდაწყვეტილებას და თვით კობურგის პრინცსაც. ეს სხვა-და-სხვაობა აზრისა იყო იმის მიზეზი, რომ მთავრის არჩევის საქმემ ამოდენი დრო და ლაპარაკი მოინდომა, ამოდენი ფიქრი და დარდი მოჰჰვარა მთელს ევროპას და მის ხელ-მძღვანელთ. თუმცა კობურგის პრინცმა დიდის ხნის მოსაზრების შემდეგ განვლო პოლიტიკისა და დიპლომატიის რუბიკონი და ხელთ იპყრა მთავრობა, მაგრამ იგი სხვა-და-სხვაობა აზრისა იგივე დარჩა, ე. ი. პრინცის გამთავრება იმას არ ნიშნავს, ვითომ სახელმწიფოები მორიგებულიყვნენ და დღეის იქით ბოლგარიის საქმე საიმედო წრესა და გარემოებაში იყოს მოქცეული. პრინცის გამბედაობა, გამთავრება ის წერტილია ბოლგარიის ისტორიაში, საიდგანაც იწყება ახალი ხანა ბოლგართა ისტორიისა, ისეთი ხანა, რომელიც, უეჭველია, თვისს დაღს დასდებს ერის ყოფა-ცხოვრებას და თვით ევროპის პოლიტიკასაც. მართალია, შეუძლებელია ვსთქვათ, თუ რა შედეგს მოუტანს ბოლგარიას კობურგის პრინცის სითამამე, გამბედაობა, რადგანაც სადიპლომატო საგნებში წინასწარმეტყველება მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ ის კი შესაძლოა ვსთქვათ, რომ დღეის იქით ფრიად საგულისხმიერო ამბების მოლოდინში უნდა ვიყვნეთ და დიდის ყურადღებით უნდა შევსცქეროდეთ ბოლგარების თავგადასავალს.

მკითხველმა კარგად იცის, რომ პატარა, სუსტს ბოლგარიას არავინ ხელს არ შეუშლიდა, მის ყოფა-ცხოვრებას მასვე მიანდობდნენ და მშვიდობიანს გარემოებას დაუმკვიდრებდნენ, თუ რომ მაგ საქმეში სხვა-და-სხვა სახელმწიფოებს საკუთარი ინტერესები არა ჰქონდეთ და მერე ისეთი ინტერესები, რომლებზედაც დამოკიდებულია მათი აწმყო და მერმისი. რუსეთს, ვითარცა უუდიდესს და უძლიერესს სლავიანთა სახელმწიფოს, სურს გავლენა და ხელმძღვანელობა მოიპოვოს სლავიანთა სხვა-და-სხვა ერთა და სახელმწიფოთა შორის, მეთაურობა დაიმკვიდროს ამ სახელმწიფოთა ყოფა-ცხოვრების მსვლელობაში და მით ევროპის სახელმწიფოთა კრებულში შეიქმნას კიდევ უფრო ძლიერ და გავლენიან სახელმწიფოდ. რასაკვირველია, ავსტრიასა, გერმანიასა და ინგლისს არაფრად არ ეჭაშნიკებათ რუსეთის ამ გვარი მიზიდულობა, რადგანაც თვითონვე ჰფიქრობენ რამე ნაირად დაიჭირონ პოლიტიკაში ის ადგილი, რომლისაკენაც რუსეთი მიიზიდება. ამით აიხსნება ეგოდენი დიპლომატური მოკამათობა, მიწერ-მოწერა და იგი აწეწილობა, რომელშიაც ჩავარდა პატარა ბოლგარია.

დღეის იქით იგი მოკამათობა კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგანაც რუსეთი, რომელმაც ეგოდენი მეცადინეობა და ბეჯითობა იხმარა, რომ ბოლგარიის საქმე იმ წრეში მოექცია, რომელიც როგორც თვით ბოლგარიისათვის, ისე მთელის სლავიანებისათვისაც საუკეთესოდ მიაჩნია, ვერ დასთანხმდება იმაზე, რომ მისი ადგილი ბოლგარიასა და სლავიანთა სხვა სახელმწიფოებში დაიჭიროს ავსტრიამ ან სხვა რომელმამე სახელმწიფომ. ამიტომაც რუსეთი, მას აქედ, რაც ადიძრა ლაპარაკი ბოლგარიის სამთავროზე და კობურგის პრინცის კანდიდატობაზე, ადგა ერთსა და იმავე მტკიცე პოლიტიკას და ამბობდა, პრინც კობურგისას მთავრად ვერ შევიწყნარებო, რადგანაც იმისი ამომრჩევი დიდი საერო კრება, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, კანონიერ კრებად ვერ მიცვნიაო. თუმცა ევროპამ და პრინცმა კობურგისამ არ შეიწყნარეს რუსეთის ამ გვარი სურვილი, რუსეთმა მაინც არ შესცვალა თავისი აზრი ბოლგარიის საქმის შესახებ და დღესაც იგი იმას ამბობს, რომ თანახმა არა ვარ, ბოლგარიის საქმე მაგ გვარად გადაწყდესო. ამიტომაც რუსეთის მმართებლობამ აცნობა ოსმალეთს, რომ იგი ვერ შეიწყნარებს კობურგის გამთავრებას, და წინადადებას აძლევს ოსმალეთს, ბოლგარიის საქმეში ჩემი მხარე დაიჭიროო. ამის შესახებ, როგორც დეპეშა იუწყება, ოსმალეთი დაეკითხა სხვა სახელმწიფოებს. თვისი პროტესტი რუსეთმა სხვა სახელმწიფოებსაც აცნობა. ასე და ამ გვარად ბოლგარიის საქმე ვერ დასრულებულა; იგი მხოლოდ შესდგა ისტორიის ახალს წერტილზე, რომლითაც ევროპის დიპლომატიაში დაიწყება ახალი ბაასი, მიწერ-მოწერა და ამ ბაასს და მიწერ-მოწერას რა მოჰყვება, ეს ძნელი სათქმელია.

## ახალი ამბავი

*** შარშან ერთს ტფილელ რუსულ გაზეთში აკაკის სტატია იყო დაბეჭდილი. ამ სტატიით ნიჭიერი ავტორი ჰკიცხავდა ბათუმის საბაჟოში მოსამსახურეთა ურიგო ქცევას და სხვათა შორის ის ფაქტიც მოჰყავდა, რომ ქალი დაიჭირეს, ეგონათ ტანზე დარაიები შემოუხვევიაო, და ორსული-კი გამოდგაო. ამას გარდა სხვა არა ნაკლებ შესანიშნავი ფაქტები იყო დასახელებული. ეს ფაქტები რუსეთის გაზეთებმაც გადაბეჭდეს და ვისგანაც ჯერ იყო, ყურადღება მიაქციეს საბაჟოს. ახლა საბაჟოში მოსამსახურეებს საჩივარი შეუტანიათ აკაკზე, რომ ჩვენ ყოველთვის კანონიერად ვიქცეოდით და თუ რამე უკანონო ჩავვიდინა, მაშინ პროტოკოლიც იქნებოდა ჩვენგანვე შედგენილიო, და რადგანაც ავტორმა ცილი შეგვწამა, გთხოვთ საკანონო გადაახდევინოთო. როგორც გავიგეთ, ეს საქმე ამ მოკლე ხანში იქნება დანიშნული.

*** როგორც თითქმის ყველა ერში, აგრეთვე ქართველთა შორისაც მოიპოვებიან უსწავლელნი მკურნალნი, რომელნიც არჩენენ ხშირად ძალიან მძიმე ავადმყოფებს. ბევრი ისეთი სა-

## ფელეტონი

### მზის დაბნელება ხვალ,

7 აგვისტოს.

ხვალ ქვეყანა იხილავს ერთს დიდებულსა და საკვირველს ზეციერს მოვლენას. ხვალ, 7 აგვისტოს, სრული მზის დაბნელება იქნება. სრული მზის დაბნელება ყველგან არ გამოჩნდება. ზოგან სრულად დაბნელდება მზე და ზოგან-კი ცოტაოდნად. ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ცოტაოდენი ნაწილი დაბნელდება მზისა დილის 6 საათზედ და მალეც გადაივლის.

ყველას ეხსომება ის სრული მზის დაბნელება, რომელიც იყო ჩვენში ამ ოც-და-თექვსმეტის წლის წინად, 1851 წელს. ვინც არ მოსწრებია ამ ამბავს, გაგონებით მაინც გაიგონებდა მოსწრებულის კაცებისაგან, რა ტყუილი შიში და ზარი დაჰბადა ზეციერის მნათობის დაბნელებამ. ზურაბ ანტონოვმა თავის კომედია „მზის დაბნელება“-ში დიდის დაწვრილებითა და სიმახვილით გამოჰხატა, რა მოქმედება იქონია მაშინ უმეცარს ხალხზედ ამ ჩვეულებრივმა ამბავმა, რომელიც მეცნიერებას დიდი ხანია ახსნილი აქვს და გაგებული; გაგებული აქვს ისე, რომ შეუძლიან წინადვე იწინასწარ-მეტყველოს, ამა-და-ამ დღესა, საათსა და წუთს, აქა-და-აქ დაბნელდება მზე და სიბნელე გასტანს ამდენსა და ამდენს ხანსაო.

მაგრამ მაინც მზის დაბნელებას დიდი ზარი აქვს. გასაკვირველიც არ არის. ყოველ-დღიურს ცხოვრებაში გართულები ვართ და ყურადღებას არ ვაქცევთ ბევრს ისეთს მოვლენას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. ასეთი მოვლენა ბუნებისა არის სხვათა შორის მზეცა, რომელიც თავის გამაცხოველებელს სითბოსა და სინათლეს გვფენს და მაცხოვრობის ძალას ანიჭებს ყოველსავე, რაც-კი ცოცხლობს და რაც-კი არსებობს დედა-მიწაზე.

წარმოსადგენადაც-კი ძნელია ქვეყანა უმზეოდ. სითბო და სინათლე უცბად მოაკლდებოდა ქვეყანას. მარტო ფიქრადაც რომ გაივლოს ეს კაცმა, შიში და თრთოლა აიტანს. უსითბოდა და უსინათლოდ ქვეყანა ყინულად გადაიქცეოდა, სამუდამო წყვდიადი და სიცივე გააქრობდა სიცოცხლის ყოველსავე ნიშან-წყალს, ამოიხოცებოდა კაციცა, ცხოველებიცა და ფრინველებიცა, განადგურდებოდა მცენარეობაცა, და მარტო სიკვდილი და სამარის მგზავსი სიჩუმე-ღა გამეფდებოდა შავითა და ბნელით მოსილს ქვეყანაზედ.

ამიტომ არის, რომ როცა მზე ბნელდება, უმეცარს ხალხსა ჰგონია, ეს-ეს არის სამუდამოდ გაჰქრა ქვეყნის გამთბობელი და გამნათებელი, აღსასრულის დღე დაუდგა ქვეყანასა და მეორედ მოსვლის ჟამი მოახლოვდაო. გაიგებენ თუ არა, რომ მზის დაბნელება იქნებაო, შეუდგებათ ერთი ვაივაგლახი, შიშობენ და ძრწიან, სასოება ეკარგებათ და გონებასაც-კი ჰკარგავენ. ჰგონიათ, რომ ეგ არის, მზე აღარ გაანათებს ქვეყანას და ამოვწყდებით ერთიანადაო. ხან-და-ხან ეს შიშის ზარი ისეთი ძრიელია ხოლმე, რომ მზის დაბნელებამდე ათასი უბედურება და ვაი-ვაგლახი ხდება: 1878 წელს, როცა მზის დაბნელება იყო ჩრდილო ამერიკაში, ერთი ზანგი შიშით ჭკუაზე შეიშალა. საცოდავი ზანგი ისე აიტაცა შიშის ზარმა, რომ დაბნელდა თუ არა მზე, დაარჩო თავისი ცოლი და თვითონაც თავი ჩამოირჩო.

**

მართლაცა და შეუძლებელია, რომ მზის დაბნელების დროს ერთს წუთს ფერმა არ გადაგკრათ და, რაც უნდა მცოდნე და გულადი იყოთ, შიში არ იგრძნოთ. წარმოიდგინეთ, რომ სცხოვრობთ თქვენთვის აღუშფოთველად, შეჰხარით ქვეყანას, სტკბებით დღის სინათლით, უცქერით ბრწყინვალე ცის მნათობს, რომელიც დიდებულად დასცურავს სამყაროს სივრცეში და უცებ ჰხედავთ, რომ ეს ქვეყნის მანათობელი და მასიცოცხლებელი ბნელდება, ეს წყარო სითბოსი და სინათლესი იშრიტება. აი ნელ-ნელა ეპარება მზეს ბინდი ერთის მხრიდამ. თქვენს გარშემო რაღაც ქრიამული ასტყდა, ხალხი ჩოჩქოლშია. ათასი და ათი-ათასი თვალი შესცქერის მზეს გულის ძგერითა და კანკალით. ზოგი თრთის, ზოგს გული უხტის, ზოგს აცივ-აცხელებს. თქვენს ეზოშიაც მოძრაობა ატყდა: თქვენი ძაღლი გაშტერებით იცქირება აქეთ-იქით, ხან აქეთ გაირბენს და ხან იქით, შინაური პირუტყვი ზმუის, ფრინველი ქანდარებისაკენ მიეურება, ყვავი ლი თავს იხრის. ვენახოთ თოფის ხმაც მოგესმათ: ერთი, ორი, ათი. თქვენ იცით, რომ უბედურება არა მოსდევს-რა მზის დაბნელებას და გიკვირთ, რომ უმეცარი და მდაბიო ხალხი შიშობს, თოფს ისვრის და ამ თოფის სროლით უნდა გაჰფანტოს დევები, რომელნიც ვითომ მზეს ებრძვიან და სინათლე უნდა წაართვან. აგერ შავი რკალი უფრო და უფრო მოედო მზესა. საცაა მზის ნახევარზე მეტს დაჰფარავს შავი რკალი. მაგრამ თქვენ მაინც გულ-მაგრადა ხართ. იცით, კარგად იცით, რომ მზის დაბნელება ჩვეულებრივი მოვლენაა. აგერ ბინდმა წამოუარა არე-მარეს. ჩრდილი საშიში არაფრით არ არის. ჩრდილი ჩრდილს მოსდევს და აბნელებს ქვეყანას. თქვენს გარშემო საშინელი ამბავი ხდება: თქვენი ძაღლი წკმუტუნებს და წკავწკავობს, მეზობლების ძაღლებიც ასევე იქცევიან, საქონელი საცოდავადა ბღავის და ზმუის, ხალხი ოხრავს და და სწუხს: ჯოჯოხეთია, სწორედ ჯოჯოხეთი! თქვენ იცით, რომ არაფერი არ იქნება, სულ უბრალო საქმეა მზის დაბნელება, სისულელედ მიგაჩნიათ, რომ ხალხი ღელავს და ღორღალობს, მაგრამ თქვენც შეგიდრკათ გული, ცივმა ოფლმა გადაგკრათ და სიკვდილისავით საშინელმა ლანდმა მოიცვა თქვენი გონება. წამიცა და ერთი ბეწვა რკალიც მზისა, რომელიც ჯერ კიდევ ანათებს, ქვეშ მოჰყვება მთვარის შავს რგვალს სინს, რომელიც ეფარება ზედ მზესა. აი ცაზე ვარს-

ტკივარია, რომ ნასწავლი მკურნალები ვერას გამხდარან, და ხალხში-კი ზოგიერთს გამოცდილებით მიუგნია უებარის წამლისათვის.

ჩვენს გაზეთში შარშანაცა გვქონდა დაბეჭდილი წერილები, რომლებიდამაც მკითხველი დაინახავდა, რომ ამა-და-ამ ადგილას ესა-და-ეს უსწავლელი კაცი ადვილად არჩენს ამა-და-ამ სენსაო. ჩვენ არ ვიცით, გამოიყენეს ნასწავლმა მკურნალებმა უსწავლელთა გამოცდილება და დაეკითხნენ იმათა თუ არა, თუმცა-კი ძალიან საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისათვისაც და მეცნიერებისათვისაც ამისთანა მზა-მზარეულ ცოდნის შეკრება.

დღესაც მოგვივიდა რამდენისამე პირისაგან შემოწმებული ბარათი, რომელზედაც მივაქცევთ ყურადღებას კავკასიის ნასწავლ მკურნალებისას. აი თვით ეს ბარათიც:

„გაზეთ „ივერიაში“ წავიკითხეთ, რომ ბ-ნს ყარსის გუბერნატორს გამოუთხოვნია ას-ოცი თუმანი და ამ ფულით ოდესაში გაუგზავნია მოსარჩენად ცხრა კაცი, ცოფიან მგლისაგან დაგლეჯილი. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ გამოვაცხადოთ საქვეყნოდა, რომ სენაკის მაზრის სოფელ აბაშაში, რკინის-გზის სადგურ აბაშას მახლობლად, სცხოვრობს გლეხ-კაცი კოტე თოფურია, რომელიც გასაოცარის სისწრაფით და უეჭველად არჩენს ყველას, ვინც-კი ცოფიანის ცხოველისაგან დაგლეჯილი მიჰმართავს. მოვა თუ არა ამისთანა დაკბენილი ადამიანი, ჯერ პირველად თოფურია გაუსინჯავს ენასა. ერთი-კი დაჰხედავს ენაზე და იმავ წამს შეატყობს, ცოფიანისაგან არის დაგლეჯილი თუ სხვის ცხოველისაგან. თუ ცოფიან ნადირს უკბენია, ხომ მაშინადვე მისცემს წამალს და უსათუოდაც მოარჩენს. რამოდენა ხალხი მოსდგომია თოფურიას კარსა და ჰშველებიათ, ვერ მოსთვლის ადამიანი. მაგალითი არ არის, რომ თოფურიას არ მოერჩინოს გაცოფიანებული ავადმყოფი.“

სასურველია, რომ ნასწავლ მკურნალებმა შეამოწმონ, რამდენად მართალია ეს ფრიად საყურადღებო ამბავი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისში მილის-წყალი დაიწყებს მუშაობას მცხოვრებთა სახმარებლად 15 აგვისტოდამ.

*** დაბა ოჩამჩირედამ: თითქმის ყველაფრით მოწყობილს ოჩამჩირეს აკლდა მხოლოდ ერთი რიგიანი მისავალი გზა. მაგრამ, როგორც იყო, დიდის ვაითა და ვაგლახით, ვახერხებდით მისვლა-მოსვლას გარშემო მდებარე სოფლებში, ურმით იქნებოდა, ცხენით, თუ ქვეითად, ჩვენს საცოდავს გზაზე. დღეს-კი, არა თუ რიგიანი გზა არ გაგვიკეთდა, იმისაგანაც ცარიელი დავრჩით, რაც აქამდისა გვქონდა, და ვართ მოჭრილ-მოშორებული დანარჩენს ქვეყნიერობას. ამის მიზეზი გახლავთ ისა, რომ მდინარე გალიზგამ მოგვტაცა ხიდი აგერ ერთი კვირაა. გალიზგას თითქმის ყოველ წელიწადს მიაქვს ხიდი. ჩვენც მუდამ ვაშენებთ, მაგრამ არა გვეშველა-რა. საქმე იმაშია, რომ ერთხელ ვერ ავაშენეთ საფუძვლიანად. აშენებულნი იმოდენა სიმაგრით აკეთებენ, რომ კომისიის მოსვლამდინ არა დაუშავდეს-რა ხიდსა. მუხის ხე-ტყის მაგიერ ახმარებენ რთხმელისას და ამიტომ ველა სძლებს და მალე ფუჭდება. წელს ხსენებულ ხიდის გაკეთება დაჯდა ასი თუმანი. ახლა, როგორც ამბობენ, შეუდგენიათ ანგარიში ხიდის ასაშენებლად და ითხოვენ ორას თუმანსაო.

*** შორაპნის მაზრიდამ: არა თუ ჩვენს მაზრაში, არამედ ეგონებთ მთელს საქართველოში არ მოიპოვებოდეს ისეთი კუთხე, როგორიც საჩხერეა თავისის თავად-აზნაურთა უზრუნველობით და ქეიფით. აქაურ თავად-აზნაურობას მუდამ დღე წვეულება აქვს და დროებას ატარებენ დილიდამ მოკიდებული საღამომდე და ხშირად საღამოდამ დილამდე. ამხანაგობაა მათში შემდგარი, ჯერ-ჯერობით ჰმართავენ წვეულობას და ყველანი მიპატიჟებულნი არიან მორიგესთან. დღეს რომ ერთთან იქეიფებენ, ხვალ უეჭველად მეორესთან, ზეგ მესამესთან და ასე ყოველ დღე ზარხოშიანი „მრავალ ჟამიერი“ განუწყვეტელია დალოცვილს საჩხერეში. ღმერთმა-კი შეაძლებინოთ, მაგრამ მთელი მათი სიმდიდრე ამ კვალობაზე დღითი-დღე იხარჯება და იბნევა. მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს. რა ეშველებათ, როცა მთელს თავიანთ შეძლებას ამ გვარად მოუღებენ ბოლოსაო, გვეკითხება ჩვენი კორრესპონდენტი.

*** თუმცა ასეთი ამხანაგობა არ შემდგარა ჯერ-ჯერობით ქიზიყში, მაგრამ იქაური მეთვალ-ყურენიც-კი გაკვირვებულნი არიან, რომ წვეულება და ქეიფები იქაც ძალიან ხშირი და ბარაქიანია იმათ წრეში, ვინც ზემოდამ დასცქერის დაბალსა და მშრომელს ხალხსა, მეტადრე ზაფხულობით, როცა კაცი უფრო მომეტებულად უნდა მხნეობდეს და ირჯებოდეს.

რაც შეეხება იქაურს გლეხ-კაცობას და მეტადრე დედაკაცებს, ამ უკანასკნელ ხანებში ერთმა სანუგეშო მოვლენამ იჩინა თავიო, გვაცნობებს ჩვენი მოამბე. აქა-იქ გამოჩნდნენ თითო-ოროლა მადლიანი ქალი და კაცი, რომელნიც უკითხავენ ხალხს ქართველ მწერალთა თხზულებებსა. საქმიან დღეს დედაკაცები გამოიტანენ თავიანთ ხელ-საქმეს, დასხდებიან დიდრონ კაკლის ხეების ძირში და საკვირველ გულ-მოდგინებით უსმენენ მკითხველთა. კვირაობით თითონ გლეხკაცობაც არა ნაკლების სიამოვნებით უგდებს ყურს წიგნის კითხვასა. ურიგო არ იქნებოდა, რომ ასეთნი მადლიანნი მკითხველნი გახშირებულიყვნენ ჩვენში და გაეგონებინათ გლეხ-კაცობისათვის ქვეყნიერობის საქმე და ამბები. მერე განა ცოტანი არიან დღეს სოფლებში გაფანტული ქალი და კაცი, რომელნიც ისე სცხოვრობენ წლითი-წლობამდე, რომ ხელს არ გაანძრევენ, თუმცა სწავლაც მიუღიათ? იმათ იკისრონ და უკითხონ ხალხს ქართული წიგნები, ამაზე უკეთესს საქმეს ხომ ვერ იშოვნიან თავიანთ სიცოცხლეში და ხალხს-კი რამოდენა სიკეთეს უზამდნენო.

*** ამ თვის ოთხს, დილის ხუთს საათზე, სოფ. მარელისს ზემოდ, რკინიგზაზე, რკინის გზის მეთვალ-ყურეს ენახა ოთხი ცალი საპალნე საქონელი. მეთვალ-ყურემ ნაპოვნი საქონელი წარუდგინა თავის უფროსს, გზის ოსტატსა და ამ უკანასკნელმაც ეს საქონელი ბექათუბნის რკინის გზის სადგურის უფროსს გადასცა. როდესაც ნაპოვნი საქონელი გასინჯეს, — აღმოჩნდა, რომ შიგ რაღაც სხვა-და-სხვა ფარჩეულობა ყოფილიყო. ოთხივე ცალი ვარშავიდგან გამოეგზავნათ და თურმე უნდა მისულიყო სამი ტფილისს და ერთიც ბაქოში. როგორც სადგურზედ ლაპარაკობდნენ, ეს ბოროტ-მოქმედება საქონლის მატარებლის № 85 მოსამსახურეების საქმე უნდა იყოსო.

*** გუშინ, 5 აგვისტოს, პოლიციამ და ქალაქის ექიმმა გასინჯა ბაყლების დუქნები ვერაზე, ჰნახა ნესვი და საზამთრო და ბევრი დამპალი და გაფუჭებული აღმოჩნდა. დამპალი და გაფუჭებული ხილეულობა პოლიციამ გადუყარა მედუქნეებს.

## ქართული წარმოდგენა

სამშაბათს, 4 აგვისტოს, საკომერციო კლუბის სადგომში, ვასილიევის ბაღში, ქართული წარმოდგენა იყო გამართული სცენის მოყვარეთა მიერ. წარმოსადგენად დანიშნული იყო აკაკი წერეთლის სამ-მოქმედებიანი კომედია „კინტო“, მეორე მოქმედება გ. სუნდუკიანცის კომედიიდგან „პეპო“ და დასასრულ ლეკური გაიმართა. ლეკური საერთო იყო, თვით თეატრის დარბაზში გაჰმართეს და ამიტომ ყველას შეეძლო ეთამაშნა, ვინც-კი მოისურვებდა საზოგადოებიდგან. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო და თითქმის თეატრის დარბაზი სულ ერთიანად სავსე იყო. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, სცენის მოყვარეთ როლები კარგა დაესწავლათ და ცოცხლადაც ჩაატარეს „კინტო“, თუმცა ზოგიერთს ალაგას ეტყობოდათ, რომ დამრიგებელი და გამწურთნავი არავინა ჰყოლოდათ და ამიტომ არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და თავი როგორ დაეჭირათ სცენაზე. მაგალითებრ, „კინტოს“ პირველს მოქმედებაში, როცა სალომე სამსონს ელაპარაკება და სახლიდგან ითხოვს, სალომე არ უნდა დამჯდარიყო, და, პირ-იქით, რჩეულოვის ქალი-კი სცენაზედ გამოსვლისათანავე სელში ჩაჯდა, ისე ელაპარაკებოდა სამსონს, რომელიც თავს ადგა, და ბოლომდე აღარ ამდგარა. ხუციშვილმა კარგად აასრულა ილიას როლი, მაგრამ ლაპარაკი ადრევე მაღალის კილოთი დაიწყო და ყვიროდა, თუმცა ეს სრულიად არ ეშესაბამებოდა როლსა. ჯაფარიძე მშვენიერი კინტო იყო მეორე მოქმედებაში, მაგრამ ხშირის ყიჟინითა და „შენი ჭირიმეს“ ძახილით ძალიან უშლიდა კინტოდ გამოსულს სალომეს მღერას.

საზოგადოდ „კინტომ“ კარგად ჩაიარა, მშვენიერი იყო ფავლენიშვილი იმერელ ალმასხანას როლში. განსაკუთრებით კარგად და ცოცხლად ჩაატარეს მეორე მოქმედება, სადაც კინტოები არიან შეყრილნი და ქეიფობენ. არღანის მაგიერ კულისებიდგან მუსიკა დაუკრეს და მოთამაშეთ მაინც შესცდათ და იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომ არღანს ვინ უკრავს ჩვენს ბაღშიო. ერთი შენიშვნა კიდევ იოსებაშვილს, რომელიც სამსონსა თამაშობდა. როცა სალომე ეუბნება, რომ ჩემს ქმარს ჭეშმარიტის და ნამდვილის სიყვარულით ვუყვარვარო, სამსონმა მწარედ უნდა ჩაიცინის. ჩაცინების მაგიერ იოსებაშვილმა გაჭიანურებით ჩაილაპარაკა „ხა—ხა—ხა“,

---

კვლავებიც გამოჩნდნენ, მზე სულ გაშავდა და დაბნელდა, ჰაერი გაცივდა; გარშემო სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველას ხმა ჩაუწყდა, გული დაეხურა, კრიჭა შეეკრა და გაოგნებული დარჩა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, ჭრიჭინამ ჭრიჭინი დაიწყო. ღამეა, ნამდვილი ღამეა და წუთის წინ-კი ისეთი ბრწყინვალე დღე იყო. თქვენ იცით ყველაფერი, გისწავლიათ, გიკითხიათ, მაგრამ მიგდისთ და მოგდისთ გული: რომ აღარ გადავიდეს შავი ბინდი, რომ აღარ გაანათოს მზემ თავისებურადაო, შიშით ეკითხებით თქვენს გონებას და საშინელი ეჭვი გეპარებათ გულში. მღელვარებამ და მოუსვენრობამ წაგიღოთ და წამოგიღოთ, გული შეგეხუთათ, ნერწყვი გაგიშრათ. წუთიცა და თქვენ სასოებას დაჰკარგავთ, მაგრამ არა, მეცნიერება ძლევა მოსილია და გაიმარჯვებს. გადის დანიშნული მეცნიერთაგან ნაწინასწარ-მეტყველი დრო, სულ რამდენიმე წუთი — თქვენ მთელს საათად გეჩვენათ ისე გაგრძელდა ეს რამდენიმე წუთი, — და გამოჩნდა ნამგალიევით ერთი ნაპირი მზისა, ნელ-ნელა და განათლდა ცა და ქვეყანა. თქვენ ღრმად ამოიოხრეთ, თითქო მძიმე ტვირთი მოიშორეთ თავიდამ და უნებურად პირ-ჯვარი გადაიწერეთ. გარშემო სიხარულის ჟრიამული შეუდგათ. ვარსკვლავები გაჰქრენ ცაზედ, მზემ კვლავ დიდებულად გამოანათა და თვისი სხივები მოაბნია დედა-მიწაზე. ფრინველები და პირუტყვი-საქონელი კვლავ გამოვიდა ბინიდამ და მოედო მინდორ-ველსა, თქვენი ძაღლი პატარა ლეკვივით ხტის და მხიარულობს, თავ-დახრილი ყვავილები მორცხვად ისევ მაღლა იხედებიან: სულ დამჭკნარნი კვლავ გაიშალნენ. ხალხი პირჯვარს იწერს და იძახის: „დიდება შენს სახელს, უფალო!“

აი ასე იწყობა და ასე თავდება ხოლმე სრული მზის დაბნელება. არავითარი საშიში შედეგი თვით მზის დაბნელებას არ მოსდევს: არც ქარიშხალი, როგორც ამბობს უმეცარი ხალხი და არც მიწის-ძვრა. მეცნიერებამ ამ ბოლოს დროს დაამტკიცა, რომ მზის დაბნელებას სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს მიწის-ძვრასთანა. ქარი და ქარაშოტიც საიდამ გაჩნდება, რომ იმ ალაგებში, საცა მზე ბნელდება, ჰაერი მხოლოდ ცოტათი ცივდება. არა-სრული დაბნელება მზისა ხომ სულ არავითარი საშიში არ არის.

**

რა არის მიზეზი მზის დაბნელებისა და იცის თუ არა ქვეყანამ, რისთვისა ბნელდება მზე? მიზეზი მზის დაბნელებისა მეცნიერებამ დიდი ხანია იცის და არა თუ მეცნიერებამ, არამედ ყველამ, ვისაც-კი ცოტაოდენი რამ უსწავლია სკოლაში. სამწუხაროდ სკოლაში ნასწავლი ცოტაა და მეცნიერების გამონაკვლევი უმრავლესობამდე ძნელად მიაღწევს ხოლმე. ამიტომ უცოდინართათვის ორიოდე სიტყვით ავხსნით, რა მიზეზით დაბნელდება ხოლმე მზე.

ყველას ეცოდინება რომ დედა-მიწა ბურთივით მრგვალია და ტრიალებს მზის გარეშემო. დედა-მიწის გარეშემო-კი ტრიალებს მთვარე, რომელიც წელიწადში 13-ჯერ შემოუვლის ხოლმე გარეშემო, მაშინ როდესაც დედა-მიწა მზეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ შემოუვლის ხოლმე. როცა ამ სახით ცის სივრცეში, ანუ სამყაროში, მთვარე მზისა და დედა-მიწის შუა ჩადგება და ისე ჩადგება, რომ ერთს დონეზე სდგას ეს სამივე სხეული, მაშინ ცალ მხრივ მზით განათებული მთვარე, მეორეს მხრივ ჩრდილს ისვრის და ამ სახით ბნელდება მზე. მთვარეს საველელი გზა და დედა-მიწისა რომ ერთს დონესა და სიმაღლეზე იყოს და არ ასცდებოდეს ხოლმე ერთმანერთს, მაშინ მთვარე, რამდენჯერაც შემოუვლიდა დედა-მიწას გარეშემო, იმდენჯერ დააბნელებდა მზესა, ესე იგი, 13-ჯერა. რადგანაც ეს ასე არ არის და დედა-მიწისა და მთვარეს გზა მხოლოდ ორჯელ შეჰხვდებიან ხოლმე ერთმანერთს ერთს დონეზე, ამიტომ წელიწადში ორჯელ მეტად არ მოხდება მზის დაბნელება. სრული მზის დაბნელება ბევრად უფრო იშვიათია, ვიდრე არა-სრული, როცა მხოლოდ ცოტაოდენს ნაწილს მზისას დაჰფარავს ხოლმე მთვარე. ასეთი სრული მზის დაბნელება წელს, ესე იგი ხვალ, 7 აგვისტოს, იქნება რუსეთსა და აზიაში. ხვალინდელს მზის დაბნელებას დაინახავს ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი, მთელი აზია, გარდა ინდოეთისა და არაბეთის სამხრეთის კერძოსი. მომეტებულ ნაწილად ამ ქვეყნებში არა-სრული მზის დაბნელება იქნება. სრული დაბნელება გამოჩნდება გერმანიაში, პოლშაში ჩრდილოეთისკენ, რუსეთში 200 ვერსის სიგანეზედ, ურალთან, ბაიკალის ტბასთან და ჩინეთში. ბაიკალთან უფრო მეტს ხანს გასტანს სრული სიბნელე, სახელდობრ 3 წუთსა და 50 წამს. აი ის ქალაქები რუსეთისა, რომელნიც სრულ მზის დაბნელებას დაინახავენ: კოვნა, გროდნა, ვილნა, ვიტებსკი, ტვერი, მოსკოვი, იაროსლაველი, კოსტრომა, ვიატკა, პერმი, ტობოლსკი, ტომსკი, კრასნოიარსკი და ირკუტსკი. რაც უფრო ჩრდილოთ ან სამხრეთად იქნება ადგილი ამ ზოლიდამ, მით უფრო ნაკლებად, არასრულად დაბნელდება მზე. რაც უფრო დასავლეთით არის ადგილი, მით უფრო ადრე დაიწყობა და ადრე გათავდება სიბნელე. ევროპის დასავლეთისკენ იმ დროს დაბნელდება, როცა ჯერ არც-კი იქნება მზე ამოსული. ისე რომ ევროპის დასავლეთი მხარე ვერ იხილავს ამ დიდებულს და საინტერესო მოვლენას. აღმოსავლეთისკენ დაიწყობა შუადღის უკან; ერთის სიტყვით, დილის 5 საათიდამ გამოჩნდება დაბნელებული მზე და გასტანს ნაშუადღევის 3 საათამდე.

**

საინტერესოა მოვიხსენოთ, როგორ იგებენ მეცნიერნი წინ-და-წინვე, რომ მზე უნდა დაბნელდესო და როგორ წინასწარ-მეტყველობენ ვარსკვლავთ-მრიცხველნი და ასტრონომები, რომ ამა-და-ამ დღესა, საათსა და წუთს, ამა-და-ამ ალაგას დაბნელდება მზე ამჟღენადა და ამდენადაო. ამ საგანს იკვლევდნენ უძველესს დროსაც სხვა-და-სხვა ერის ბრძენნი, მოგვნი და ქურუმნი. მაშინდელი ვარსკვლავთ-მრიცხველნი, ანუ ასტროლოგები დიდის გულ-მოდგინებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ვარსკვლავებს, მზეს და მთვარეს და ძიობდნენ ზეციურ მოვლენათა ბუნებას. ორის ათასის წლის წინად ქრისტეს ქვეყნად მოსვლამდე ჩინეთის სწავლულები წინასწარ-მეტყველობდნენ მზის დაბნელებას. ჩინეთში ვარსკვლავთ-მრიცხველთ მოვალეობა იყო, რომ წინ-და-წინვე გამოეცხადებინათ ხალხისათვის, რა დროს დაბნელდებოდა მზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიტომ ძალიან ცუდად მოუვიდა ეს ადგილი. ალექსანდრეს როლის ამსრულებელი, ბ-ნი გვრიტიშვილი, ხშირად სიტყვებს ამახინჯებდა და ილიმებოდა კადეც უადგილო ალაგას. მაგალითებრ, ერთს ალაგას ალმასხანს ასე უთხრა: ერთი თუმანი ხუთი მანეთი გასცვალეო. საზოგადოებამ ძალიან ისიამოვნა «კინტოს» წარმოდგენით. რჩეულოვის ქალმა კარგად აღასრულა შედარებით კინტოს როლი, და მეორე მოქმედებაში სიმღერა და ლეკურიც კარგად მოუვიდა.

„პეპოზედ“ არაფერს ვიტყვით, რადგან ეს პიესა სრულიად რომ არ წარმოედგინათ, უკეთესს იზამდნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „პეპოს“ წარმოდგენა მეტად ძნელია და ამას გარდა არც მარტო მეორე მოქმედებასა ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა. პეპოს მოთამაშე სულ სცენაზედ გამოსაშვები არ იყო.

ერთი ორიოდე სიტყვა კლუბის წევრთა მიმართ. კლუბის წევრებმა გამოაცხადეს, რომ ზურნის დაკვრა არ შეიძლება კლუბშიო, საკადრისი არ არის, დიდი შერცხვენა იქნება კლუბისათვის, ზურნის დაკვრის ნება რომ მივცეთო. არ გვესმის ასეთი საქციელი კლუბის წევრებისა. ჯერ ერთი, რომ კლუბის წესდების მიერ არ არის აკრძალული ზურნის დაკვრა და ან რად უნდა იყოს აკრძალული, როცა ზურნა ჩვენში ძალიან შეთვისებული მუსიკაა და ყველგან მიღებულია. მეორე—თუ აკრძალვა უნდოდათ, რატომ ადრევე არ გამოუცხადეს მოთამაშეთ, მით უფრო, რომ თვით პიესაში საჭირო იყო ზურნა და უზურნოდ „კინტო“ ვერ დაიდგმებოდა. ან და ლეკური რომ იყო დანიშნული განცხადებაში, რატომ ყურადღება არ მიაქციეს იმავ წევრებმა, ხელი რად მოაწერეს, ნუ თუ უზურნოდ ლეკურის როგორც რიგია თამაშობა შეიძლებოდა? ძალიან ახირებულად მოიქცა ბ-ნი ახუმოვი, მორიგე „სტარშინა“, როცა გამოაცხადა: საკომერციო კლუბი ორთაჭალა არ არის, რომ აქ ზურნას აჭყიტინებდნენო, თითქოს მარტო ორთაჭალაში დაეკრათ ზურნა და სხვა არსად. ის მაინც როგორ დაავიწყდათ, რომ სულ ორი-სამის თთვის წინად ზურნის ჭყიტინი გაისმოდა მაკაეე საკომერციო კლუბში და კლუბის წევრების ყურს არ ეხამუშებოდა ეს ჭყიტინი. ეხლა რაღა დაემართათ? ან და რაღა ცხრა-ათ საათზედ მიხვდნენ, რომ ზურნის დაკვრა კლუბში სირცხვილიაო, მაშინ, როცა წარმოდგენა თითქმის დაწყობილი იყო კიდეც. ისევ ისა სჯობს სხვაფრივ მოუარონ კლუბს, რომელსაც დიდის ხნის სიცოცხლე არა აქვს, და ზურნა-კი არ აღკრძალონ, თორემ ყველას სასაცილონი გახდებიან. კლუბში წევრებად თითქმის სულ ქართველობა და სომხობაა, ზურნაც სწორედ მაგათივე საერო მუსიკაა, და ეგრაფერი მოსაწონია წევრების მიერ ზურნის განდევნა.

ა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქუთაისი, 4-ს აგვისტოს. გუშინ, კაკალ შუადღისას, ერთი გაბედული, უკეთ ვსთქვათ, თავ-ხედური მტაცებლობა მოხდა ქუთაისიდგან რიონის სადგურზე მიმავალ რკინის-გზის მატარებელში. თერთმეტ საათზედ ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკში ბ-ნ ლიმბერგერის ცოლმა ბანკარის მაასის მინდობილებით მიიღო ათი ათას ხუთასი მანეთი, სულ წვრილი ფული, რომელიც იყო დანიშნული შავი-ქვის საწარმოებლად. ამ ქალს არა ერთხელ და ორჯელ შეხვედრია იმავე საგნისათვის ფულების მიღება ქუთაისის ბანკიდგან. ეს ორი წელიწადია, თითქმის ყოველ კვირაში, შავი-ქვის გადმოზიდვის დროს, ლიმბერგერის ცოლი, საშუალო რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ორი ათას თუმანს მაინც გაიტანდა ხოლმე ქუთაისის ბანკიდგან, სულ წვრილ ფულებს მუშებისათვის დასარიგებლად. რამდენჯერმე შეხვედრია სამი ათასი თუმნის გატანა და ორი ათასის თუმნისა—ხომ ხშირად. ამ ფულის მისაღებად დადიოდა მარტოდ-მარტო, მიითვლიდა ხოლმე ფულებს, ჩააწყობდა თავის სამგზავრო ტომრაკში და გაეშურებოდა გზას. ერთხელ თუ ორჯელ ბანკის დირექტორმა ბ-ნ გ. ლორთქიფანიძემ კიდეც შენიშნა და გააფრთხილა ქალი, რომ საშიშია ჩვენს ქვეყანაში ასე მარტო თქვენი მოგზაურობა ამოდენა ფულით და ურჩია, ზომა რამ მიეღო, მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა, არა უშავს-რაო; აი, რამდენი ხანია, ასრე ვმოგზაურობ და არა შემთხვევია-რაო. მაგრამ, მოგეხსენებათ, კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს.

ქალმა, გაიტანა თუ არა ფული ბანკიდგან, აიღო მეორე კლასის ბილეთი და შევიდა ვაგონში, რომელშიაც იმის გარდა იყო ერთი ქალი და თ. დ. აბაშიძე. იმავე ვაგონის მეორე განყოფილებაში იჯდა ბ-ნი ი. ბასტაძე და ორი თუ სამი სხვა კაცი. როცა მატარებელი შევიდა საღორიის ტყეში, შემოვიდნენ სამი დაიარაღებული და, ვგონებ, ნიღაბოსნიც, ე. ი. ყაბალახ შებურვილი კაცები. ორმა მათგანმა ამოიღეს დამბაჩები და ხანჯალი და მიადგნენ თ. აბაშიძეს ამ სიტყვებით; „არ დაიძრეთ, თორემ გაგათავებთო!“ მესამემ გამოსტაცა ხელიდგან ქალს საკვოიაჟი და თვალის დახამხამების უმალვე სამივე გარდაიხვეწნენ მატარებლიდგან და მისცეს თავი ტყეს. სანამ მატარებელს გააჩერებდნენ, გავიდა კარგა ხანი და, რასაკვირველია, მცარცველები იქ აღარ მოუცდიდნენ. ამბობენ, ვითომ გადმოსტომის დროს ერთს მათგანს ფეხი მოუტეხია და სხვებს იგი მხრებით წაუყვანიათ. მაზრის პოლიციამ ფიცხელი ზომები მიიღო, ტყე შეკრა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავინ დაიჭირეს. ბ-ნ ლიმბერგერს და მის მეუღლეს დიდი ეჭვი აუღიათ თ. აბაშიძეზე. წუხელ, შუაღამისას, მიჭრილან იგინი ბანკის კასირთან და ლიმბერგერის ცოლს უკითხავს: დღეს ფულებს რომ ვიღებდი, ის აბაშიძე ორჯელ იყო ბანკში და თქვენ გელაპარაკებოდათ; რა საქმე ჰქონდაო. კასირმა აუხსნა, თუ რისთვის მისულიყო მასთან ბანკში ბ-ნი აბაშიძე. ამ უკანასკნელს ბ-ნ კასირის დედასთან ფულის ანგარიში ჰქონია, რის თაობაზედაც ელაპარაკებოდა კასირს, რომელმაც თან ისიც დასძინა, რომ ბ-ნი აბაშიძე მდიდარ და პატიოსან კაცად არის ცნობილი იმერეთში და იმაზედ ეჭვის აღება სრულიად შეუძლებელიაო.

— აბა, მავარვედობა რად არ გამოწია? ხომ ჰქონდა ხანჯალიო! უკითხავს ლიმბერგერის მეუღლეს.

— ჰეი, შე დალოცვილო! მაგის თქმა ადვილია, მაგრამ შესრულება-კი როგორიღაა? დამბაჩებით თავს რომ დაგადგებიან, მაშინ სხვისი თავი-კი არა, საკუთარიც ადვილად დაგავიწყდება.

გურგენ

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ეს ორი-სამი დღეა დეპეშა-დეპეშაზე მოდის ბოლგარიიდამ და მოაქვს ამბები პრინც ფერდინანდ კობურგისაზე: დღეს მანიფესტი გამოსცა ახალმა მთავარმაო, დღეს ფიცი მიიღო, რომ ბოლგარიის კონსტიტუციის ერთგული ვიქნებიო, საღამოზე მთავრობამ შეჰფიცა მთავარს ერთგულებაზეო, ხვალ პარაკლისს გადიხდიანო, და სხვანი.

ერთის სიტყვით, შესრულდა სიტყვა ინგლისის ერთის ოფიციოზურის გაზეთისა, რომელიც ამბობდა:

ისეთი მთავარი უნდა მოიძებნოს, რომელიც მხნე და გულადი იყოს და რომელმაც შეუსრულოს სურვილი ბოლგარიის ერსაო. იარაღით ხელში არავინ არ ჩაერევა ამ საქმეში და ვერ გადაელობება ბოლგარიის მთავრობასა, იმიტომ-რომ ასეთს მთავრობას გულ-და-გულ დაუხვდება ავსტრია, რომელსაც მხარს მისცემს იტალია, ოსმალეთი და ინგლისიო.

გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, მისცემს თუ არა ავსტრიას მხარსა ინგლისი, ოსმალეთი და იტალია, თუ ვინიცობაა დავიდარაბა ატყდა, ან ჩაერევა თუ არა ბოლგარიის საქმეში რომელიმე შეიარაღებული სახელმწიფო, მაგრამ ეს-კი ნამდვილია, რომ ფერდინანდს და იმის გამთავრებას ბოლგარიაში რუსეთი არას გზით არ შეიწყნარებს და ავსტრიასაც თავის კანდიდატის გამთავრებისათვის პირს არ დაუგოცნის.

მაშ როგორ მოვიქცეთ ჩვენ ამ შემთხვევაშიო? კითხულობს გაზეთი „Новое Время“ და ასეთს პასუხს იძლევა: ჩვენ გავჩუმდებით და ხმასაც არ ამოვიღებთ. ჩვენ ჩვენი გვითქვამს ერთხელვე და გაგვითავებია. ეხლა ის-ღა დაგვრჩენია მხოლოდ, რომ ზიზღით ვუცქიროთ ამ ახალს კომედიასაო.

**

იაპონია აღარ იშლის. ეს სახელმწიფო ჩქარის ნაბიჯით მიისწრაფის განათლებისა და წარმატებისაკენ. უფრო დიდი ყურადღება მიუქცევია ამ სახელმწიფოს მთავრობას მეურნეობის აღორძინებისა და ეკონომიურად ქვეყნის წარმატებისათვის. აი რა საინტერესო ცნობანია დაბეჭდილი ამ საგანზედ ჟურნალ „Сотрудникъ“-ში:

ამ საკვირველს ერს კარგად შეუგნია, რომ საყოველთაო განათლება საუკეთესო თავმდებია ყოველგვარის წარმატებისა, და სულ მოკლე ხანში იმდენი გააკეთა და შეიძინა ამ მხრივ, რომ სიტყვა „საკვირველი“ საკმაოდ ვერც-კი ჰხატავს იმ სულიერს და გონებრივს ძლიერებას, რომელიც ამ ერს ცხადად ეტყობაო.

სამეურნეო დაწესებულებათათვის ჰზრუნავს ამ ქვეყანაში ცალკე სამინისტრო ვაჭრობისა და მეურნეობისა. იაპონიაში უკვე არსებობს რამდენიმე უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში უკანასკნელ დრომდე პროფესორებად ევროპიელნი იყვნენ და დღეს-კი ეს პროფესორები ნელ-ნელა უთმობენ თავიანთ ალაგს იაპონელ სწავლულებს, რომელთაც სწავლა და განათლება ევროპის საუკეთესო სასწავლებლებში აქვთ მიღებული. მთავრობა ჰმართავს სამაგა-

თუ, ვინიცობაა, შესცდებოდათ და ვერ გაიგებდნენ მზის დაბნელების დღეს, სიკვდილით დაისჯებოდნენ ხოლმე. ორ ჩინელ ვარსკვლავთ-მრიცხველს ხისა და ხოს თავი მოჰკვეთეს იმ უძველეს დროს მხოლოდ იმიტომ, რომ დროზედ ვერ შეატყობინეს თავის ბატონსა და მბრძანებელს ბოლდიხანს მზის დაბნელება. ძველნი სწავლულნი, როგორც იყო, მიხვდნენ გამოცდილებით, რომ მზე დაახლოვებით ყოველ 18 წლისა და 11 დღის შემდეგ კვლავ ბნელდება სწორედ იმ სახით, როგორც პირველად. ამ სახით, იმ დროს, როცა მზე დაბნელდებოდა, მიათვლიდნენ კიდევ 18 წელიწადსა და 11 დღეს და წინ-და-წინვე იგებდნენ, როდის უნდა მომხდარიყო შემდეგი, სწორედ პირველ ნაირი დაბნელება მზისა.

დღევანდელი მეცნიერება ამბობს, რომ ძველებს მხოლოდ დაახლოვებით სცოდნიათ ეს საგანიო. დღეს ჩვენც ვიცით, რომ 18 წლოვანი ვადა მხოლოდ დაახლოვებით არის მართალი. მართლაცა და ვსთქვათ, რომელიმე მზის დაბნელება სრული დაბნელება იყო. 18 წლისა და 11 დღის უკან ეს დაბნელება სრული აღარ იქნება, შემდეგ, კიდევ 18 წლისა და 11 დღის უკან მზის დაბნელება უფრო ნაკლებად სრული იქნება, მერე კიდევ ეს ვადა რომ გავა, სულ მცირე იქნება და ბოლოს, სულაც აღარ იქნება ვადაზედ მზის დაბნელება.

ამის გამო ზოგიერთი მზის-დაბნელება ყოველ 18 წლისა და 11 დღის შემდეგ როდი გამეორდება. სამაგიეროდ სხვა ახალი მზის დაბნელება დაიწყობა. ყოველი ახალი მზის დაბნელება პირველად მცირეა და არასრული. 18 წლისა და 11 დღის შემდეგ მატულობს სიბნელე მზისა და ასე მატულობს ყოველთვის, ვიდრე 13-ჯერ დაბნელდებოდეს. მე-13-ჯერ-კი სრულად ბნელდება მზე. 22-ჯერ, 23-ჯერ სულ ასე სრულად ბნელდება. შემდეგ-კი იწყებს ისევ კლებასა და 13-ჯერ რომ დაბნელდება, ისევ გაქრება და ახლა კიდევ სხვა ახალი დაბნელება დაიწყება.

აბა, ძველი ჩინელები ასე დაწვრილებით სად გაიგებდნენ ყოველ ამას და ხი და ხო, რასაკვირველია, ახლად გამოჩენილს მზის დაბნელებას ვერ შეიტყობდნენ წინდაწინვე.

**

დღეს-კი მეცნიერებამ იცის ზედ-მიწევნით, არა თუ ის, როდის დაბნელდება მზე ასისა და ათასის წლის წინად, არამედ ისიც, თუ როდის დაბნელებულა ოდესმე ძველის ძველად, უხსოვარს დროსა. მაინც ჯერ კიდევ ბევრი რამა აქვს გამოსარკვევი და ასახსნელი მეცნიერებას ზეციერ მნათობთა ცხოვრებიდამ. ეს არის მიზეზი, რომ ყოველი ახალი დაბნელება აღდგომაა ასტრონომებისათვის. წელს რუსეთის დაბნელების გამოსარკვევად დიდ-ძალი რიცხვი ასტრონომებისა დაესწრობა სხვა-და-სხვა ალაგას თავის შთაბეჭდილების ასაწერად. უკვე წამოსულნი არიან ევროპის სახელ-განთქმული ასტრონომები, სახელდობრ, ჟანსენი საფრანგეთიდამ, ტაკკინი იტალიიდამ, ჰიუნგენსი ინგლისიდამ და ტოდტი ამერიკიდამ რუსეთში მზის დაბნელების საცქერლად. თვით რუსეთმა ორი დიდი ექსპედიცია გაგზავნა—ერთი მოსკოვს და მეორე—კრასნოიარკს. ამას გარდა რუსეთში ბევრგან სხვაგან დააკვირდებიან მზის დაბნელებას შემდეგი პროფესსორნი: ბრედიხინი, მენდელეევი, მალევსკი, ვოეიკოვი და სხვანი.

მეცნიერებ გარდა, დიდ-ძალი ცნობის-მოყვარე ევროპიელნი მოვიდნენ რუსეთში ამ დიდებულისა და სასიამოვნო სანახავის საცქერლად. ლონდონში შესდგა წინ-და-წინვე საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს ჰზიდოს ხალხი მზის დაბნელების საცქერლად რუსეთში. ყოველს ინგლისელს, რომელიც გადაიხდის 20 თუმანს, საზოგადოება თავის ხარჯით, საჭმელ-სასმლით მოიყვანს რუსეთში, აჩვენებს მზის დაბნელებას და უკანვე წაიყვანს ისე, რომ თავად ხელი არც-კი გაანძრიოს.

მეცნიერებსაც და ცნობის-მოყვარეთაც მხოლოდ ერთი რამ აწუხებთ ძრიელ; შიშობენ, ვაი თუ ცუდი დარი იდგეს და მზის დაბნელებას ვეღარ დავაკვირდეთო. ხომ ტყუილად ჩაიარა მაშინ ამოდენა ხარჯმა და მზადებამა და ჩაგვიფუჭა იმედებიცაო. მაგრამ მძლეთა-მძლევი ჭკუა ადამიანისა ამ დაბრკოლებასაც არ შეუშინდა. პეტერბურგის ფიზიკისა და ქიმიის საზოგადოებამ მოამზადა ჰაერში საფრენი ბურთი; ამ ბურთით ავლენ ასტრონომები მაღლა ჰაერში, ღრუბლებ ზემოდ და იქიდამ დაუწყებენ ცქერას დაბნელებულს და გაშავებულს მზეს.

მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ ამავე საზოგადოებამ დაბეჭდა წინ-და-წინვე რამდენიმე წიგნი 7 აგვისტოს მზის დაბნელების თაობაზე ხალხში და საზოგადოებაში ჭეშმარიტის ცნობების გასავრცელებლად. ერთი წიგნი არის კლეიბერისა და ჰღირს 30 კაპ.; მეორე მდაბიო ხალხისათვის არის შედგენილი და ფასი 3 კაპეიკია. ამას გარდა დაიბეჭდა კიდევ ხვალინდელის მზის დაბნელებაზე კაველსკის წიგნი, მდაბიურის ენით დაწერილი და პალმაუსი. ამ უკანასკნელს წიგნში ძალიან ნაკლებად არის ცნობანი ხვალინდელს მზის დაბნელებაზე. დანარჩენი ზემოხსენებული წიგნები-კი, სამწუხაროდ, ტფილისის წიგნის მაღაზიებში არ მოიძებნება, ამ ჟამად მაინც.

ორი სიტყვაც განსაკუთრებით უცოდნელთათვის: ვისაც მზის დაბნელების ცქერა უნდა, ხვალ ადრე უნდა ადგეს და არამცა და არამც პირდაპირ არ უნდა შეჰხედოს მზესა, რადგანაც, მზის სხივები, როცა ბნელდება, საშინლად სჭრის თვალსა და შეიძლება კიდეც დააბრმავოს კაცი. ამისათვის სულ ადვილი საშუალებაა: უნდა გაჰმუროთ სანთლის ალზე კარგად გარეცხილი შუშის ნატეხი, მიიფაროთ თვალზე და ისე უცქიროთ, თუმცა-კი ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენში ისე საინტერესო და სასიამოვნო არ იქნება მზის დაბნელება, როგორც რუსეთში, საცა მზე სრულად დაბნელდება და მზეზე გადაფარებულის მთვარის შავს რკალს გარშემო შემოერტყმის მეტად საამური სახილველი ბრწყინვალე არშია, ანუ რგვალი ზოლი უცნაურის და ახირებულის ფერისა. ამ რგვალს არშიას მზის გვირგვინს ანუ შარავანდედს ეძახიან ვარსკვლავთ-მრიცხველნი და ასტრონომები.

გრ. ყ—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითო ფერმებს, და ხვნა-თესვას და ყველაფერს მაშინებით აწარმოებს, მისდევს საუკეთესო ჯიშის საქონლის მოშენებას და სხვანი. ყველა თემს თავისი სამეურნეო კანტორა აქვს, სადაც შეგიძლიანთ ყველაფერი შეიტყოთ ხვნა-თესვის შესახებ და ისიც გაიგოთ, თუ როგორ რა უნდა შემუშავდეს. ტოქიოში დაარსებულია ფრიად მდიდარი სამეურნეო მუზეუმი; მთავრობა ყოვლის ღონითა სცდილობს გაამრავლოს რიცხვი სამეურნეო საზოგადოებათა.

თუ ინატროს კაცმა, სწორედ იმისთანა ქვეყნის ბედი ინატროს, როგორიც იაპონია ყოფილა. არა გვგონია, რომ ცოდვა იყოს ასეთი ნატვრა.

## წვრილი ამბები

— ვესტფალიის ქალაქს ლენგერფელდში მეხს მოუკლავს ათი მუშა კაცი, რომელნიც გვირაბზე მუშაობდნენ თურმე.

— პარიჟში ამ ახლო ხანში გაჰმართავენ ერთს თავისებურს გამოფენას. უნდა გამოჰფინონ ყველა ჯურისა და სახის მწერები. გამოფენა დაიწყება 27 აგვისტოს და 28 სექტემბრამდე იქნება ღია. გამოფენაზე ექმნებათ 3,000-მდე სხვა-და-სხვა სახის მავნებელი მწერი. გამოფენა იმ აზრით არის გამოწვეული, რომ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ მავნე და მხამიან მწერებზე, რომელთაც დიდი ზარალი მოაქვთ მეურნეობისათვის.

— სტრადელიდგან დეპეშით აუწყებენ „Neues Viener Tageblatt“-ს: დეპრეტისის გარდაცვალების გამო ადგილობრივმა ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ქალაქის ბაირაღი შავებში უნდა იყოს ნახევარ წლის განმავლობაშიო. იმის გარდა, რომ ყველა წევრნი უნდა დაესწრნენ დეპრეტისის დასაფლავებაზე, განუზრახავთ ძეგლი აუგონ ხელ-მოწერით მოგროვილის ფულით და ამის გამო ქალაქს თავის მხრით 5,000 მან. გადუდვია. გერმანიის მემკვიდრე პრინცს თავისი თანაგრძნობა და გულ-მტკივნეულობა გამოუცხადებია დეპრეტისის ქვრივისათვის, თანაგრძნობა და გულ-მტკივნეულობავე გამოუცხადებიათ კალნოკისა და ფლურანსს.

— განთქმულს საფრანგეთის არტისტს უფროსს კოკლენს დაუწერია ერთი თხზულება და დასაბეჭდად ამზადებს. წიგნი ამ სათაურით უნდა დაიბეჭდოს: „L'art du comédien“. ამ წიგნში განთქმული არტისტი თავის ამხანაგთ წვლილად გააცნობს სასცენო ხელოვნებას, დარიგებას მისცემს, თუ როგორ უნდა შეისწავლონ ხოლმე როლები, გრიმი როგორ უნდა გაიკეთონ და როგორ უნდა იქონიონ წესიერი და რიგიანი დამოკიდებულება რეცენზენტებთანა და პიესის ავტორებთან.

— ამას წინად ამერიკის ჟურნალ „Voth's Companion“-ში დაიბეჭდა ტენის წერილი: „ინგლისის ლიტერატურის შესწავლა“. ამ წერილში ტენი ლაპარაკობს შექსპირზე: „აგერ ორასი წელიწადია, რაც შექსპირზე დაიწყეს ლაპარაკი და ნამდვილად დარწმუნებულნი ვართ, რომ კიდევ ბევრს ილაპარაკებენ ორას-სამასის წლის შემდეგაც, იმ დრომდე, ვიდრე ინგლისური ენა არსებობს ამ ქვეყნად და არ აღგვილა. ყველა განათლებულსა და ნასწავლს კაცს შექსპირი მასწავლებელზედ უფრო მეტად უნდა მიაჩნდეს, რადგან შექსპირმა ასწავლა და გააცნო მათ კაცობრიობა და თავის საკუთარის გულის გაგება“. ზოგიერთ სხვა მწერლებზედ ტენი ამბობს: „რაც უფრო გენიოსია მწერალი, მით უფრო გარკვევით და თამამად წარმოსთქვამს ხოლმე თავის აზრთა და შეხედულობათა. სვიფტი სრულს პესსიმიზმს შეუპყრია. სვიფტისათვის კაცი შესაზრალისი, საძაგელი, უბედური, საზიზღარი, სულელი და სასაცილო ნადირია. ადდისონი-კი მშვიდობიან ოპტიმიზმს გაუყოლიებია. იმის აზრით, ყველაფერი ჩვენდა საბედნიეროდ და სასიამოვნოდ არის გაჩენილი და დაარსებული სააქაოსაც და საიქიოსაც. საზოგადოებას, საპოლიტიკო თავისუფლებას, მთავრობას, სარწმუნოებას, მეცნიერებას, განათლებას და ისტორიას კარლეილი ისე უყურებს, როგორც მტკიცე ზნეობის დამცველი და მფარველი; მაკოლეი-კი ასეთივე ლიბერალია, და ორივეს დიდ-ძალი საბუთები აქვთ თავის მოქმედების და საქციელის გასამართლებლად. ბაირონი და უორდსუორტი სულ სხვა-და-სხვა, ერთი მეორის წინააღმდეგის თვალით უყურებენ ადამიანის დანიშნულებას ამ ქვეყნად. ფილდინგი ამბობს, რომ კაცს ნამდვილი ძალა უნდა ჰქონდეს, შეუზღუდავი, არავითარს წესებს არ უნდა ემორჩილებოდეს როგორც კერძო, აგრეთვე საქვეყნო საქმეებშიო. რიჩარდსონის აზრით-კი, კაცი წინ უნდა მიდიოდეს, სარწმუნოებას და თავის სინდისს ემორჩილებოდეს; ადამიანის შვილი შეუსუდავი მოწამე და მოსამართლე უნდა იყოს თავის მგზავსივე ადამიანებისათვის და აგრეთვე შეუსვენებლად უნდა იბრძოდეს თავის წინმსვლელობისა და წარმატებისათვისა.“

## გასართობი

საზოგადოდ ყველა ხელის-მომწერთ, ჟურნალი იქნება თუ გაზეთი, ჩვეულებად აქვთ, რომ გაერიონ ხოლმე გაზეთის გამოცემის საქმეში და რჩევა და დარიგება დაუწყონ გაზეთის რედაქციას. ერთს ნემეცურს გაზეთში წერილია დაბეჭდილი და რამდენიმე ხელის-მომწერის აზრია მოყვანილი, გაზეთის გამომცემელთან მიწერილი. მაგალითებრ, ა. სწერს: „დიდად დაავალებთ თქვენს მკითხველთ, თუ უფრო დაწვრილებით აუწერთ ახალს სასახლის ბალსა“. იმავე ფოსტით ბ. სწერს: „როდის გაათავებთ სასახლის ბალზე ლაპარაკსა და ბაასს, არა კმარა?“ გ. იმუქრება: „თქვენი გაზეთი არაფრისათვის გამოსადეგი და გამოსაყენებელი არ არის...“ და სხვა. დ. სწერს: „ჩემი ცოლი გაზეთის ძველს ნომრებს ფანჯარებზე აკრავს და არ შეიძლება, რომ ცოტა უფრო წმინდა და ნაზს ქაღალდზე ჰბეჭდოთ გაზეთი?“ ე. პირდა-პირ ამბობს: „ჩემთვის საინტერესო არ არის თქვენი პოლიტიკა. თუ უფრო მეტს ყურადღებას შინაურს საქმეებს არ მიაქცევთ და სულ პოლიტიკაზე ლაპარაკს თავს არ დაანებებთ, მე იძულებული ვიქმნები...“ და სხვა. ვ. ცხარობს: „როდის დაანებებთ თავს შინაურს ცხოვრებაზე უბედობას, ვისთვის არის საყურადღებო შინაური ცხოვრება? ეცადეთ, სამზღვარ-გარედ ბევრი კორრესპონდენტები იყოლიოთ“. ზ. მეურნეა: „ძალიან მომწონს თქვენი გაზეთი, ხოლო თუ სამეურნეო განყოფილებას არ მიუმატებთ, არ შემიძლიან...“ ჱ. ჰკითხულობს: „რატომ საკალენდარო და დარზე ცნობებს არა ჰბეჭდავთ? ეს განყოფილება გაზეთისა მეტად საყურადღებოა“. თითქმის ყველა გაზეთსა ჰყავს ისეთი ხელის-მომწერელი, რომელიც იმას ურჩევს გაზეთს, რაც თითონ მოსწონს და ის-კი ავიწყდება, რომ ყველას ერთ ნაირი გემო და შეხედულობა არა აქვს ერთს რომელსამე საგანზედ. ძნელად მოიძებნება ინგლისში გაზეთი და ან ჟურნალი, რომ ამის მაგვარი წერილი არ მიეღოს: „სერ, თქვენ უფრო უკეთ უნდა ასრულოთ თქვენი მოვალეობა. მე კმაყოფილი არა ვარ თქვენის გაზეთის დღევანდელის ნომრით. ადრევე გატყობინებთ და გირჩევთ, მოთმინებიდგან არ გამომიყვანოთ. დავშთები იმის მომლოდინე, რომ ხვალინდელი ნომერი უფრო უკეთესი ნომერი იქმნება. მაქვს პატივი...“ და სხვა.

თუ ამისთანა გულ-მოსულს ვაჟბატონს არ მოსწონს გაზეთი, შეუძლიან ხელი არ მოაწეროს; თორემ ძალიან სცდება, თუ წარმოუდგენია, რომ ერთის კაცის აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს გაზეთის და ან ჟურნალის საქმეში. ყველა რედაქციას ემდურება, ერთს რომ ერთი უნდა, მეორე მეორეს თხოულობს და გაზეთმა არ იცის რომელს მოუგოს გული და რომლის რჩევაზე გაიაროს.

**

ყველა ამ რედაქციის მრჩეველებზე, მგონი, უფრო ჭკვიანად მოქცეულა ერთი ნიუიორკის მცხოვრებელი. ეს ახირებული კაცი გაზეთებს რჩევას-კი არ აძლევს და რამეს-კი არ უწუნებს, არა, იმის გარჩევაში შესვლა, კარგია გაზეთი თუ ცუდი, მომწონს მე თუ არაო, ამის საქმე არ არის. პირ-იქით, ეს საოცარი ადამიანი ყოველ დღე ყიდულობს რომელისამე განთქმულის გაზეთის ორმოც-ორმოც-და-ათ ეკზემპლიარს, იწყობს სახლში და ინახავს. ასე იმ აზრით იქცევა, რომ ხშირად მეცნიერთ, სწავლულთ და პოლიტიკის მიმდევართ დასჭირდებათ ხოლმე რომელიმე ნომერი გაზეთისა, მზად არიან დიდ-ძალი ფული გადაიხადონ ამ ერთს ნომერში და ვერსად-კი ვერ უშოვნიათო. და მართლაც, რომ ჭკუა არ წაუგია: ხშირად გაუყიდნია ერთი ნომერი გაზეთისა 700—800 მანათად და ამას გარდა კანზასის საისტორიო საზოგადოებას 20,000 მანათი შეუძლევია „Leawenworth Journal“-ის ორის იმ დროის ნომრისათვის, როცა კანზასი თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძოდა.

# დეპეშა

4 აგვისტო

პეტერბურგი. გამოცხადებულია გარდაწყვეტილება მინისტრთა კომიტეტისა. კომიტეტს დაუდგენია ნება მიეცეს საერო განათლების მინისტრს, რომ გადაახდევინონ უნივერსიტეტის სასარგებლოდ ლექციების მოსმენისათვის და პრაქტიკულ მუშაობაზე დასწრობისათვის ოც-ოც-და-ხუთი მანათი ნახევარ წელიწადში იმ სტუდენტებსა და მსმენელთა, რომელნიც შევლენ უნივერსიტეტში მომავალს სასწავლო წლიდამაო.

ტირნოვო. დღევანდელს პარაკლისზე დაესწრნენ: პრინცი ფერდინანდი და წევრნი საერო კრებისანი. პარაკლისის შემდეგ გამოცხადებულ იქმნა, რომ კრება გათავდაო; ამასთანავე პრინცმა ფერდინანდმა სთქვა: „გმადლობთ იმ პატრიოტულის მოღვაწეობისათვის, რომლის წყალობითაც ძალნი ერისა ასე დაგიცავთო. ვტვირთულობ გამგეობას ქვეყნისას და ვაცხადებ, რომ სესსია საერო კრებისა გათავებულია“. რეგენტებმა და მინისტრებმა მიართვეს პრინცს თხოვნა სამსახურიდამ დათხოვნის თაობაზე. ახალი სამინისტრო შესდგება მაშინ, როცა პრინცი სოფიაში მოვა, არა ადრე ამაზეო. ხვალ დილის 5 საათზე პრინცი ფილიპოპოლს წავა.

ბერლინი. ოფიციალური „ჩრდილო-გერმანიის გაზეთი“ ჰკიცხავს პრინც კობურგის საქციელს.

### „ივერიის“ ფოსტა

ოჩემჩირეში, პეტრე გიორგიძეს. თქვენი შრომა დიდად სასიამოვნოდ დაჰრჩა რედაქციას. შემოდგომიდამ დავიწყებთ მის ბეჭდვას. იმედი გვაქვს, რომ დაპირებულს გაგრძელებასაც მალე გამოგვიგზავნით.

### პეტერბურგის ბირჟა, 4-ს აგვისტოს ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 181½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 268 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 252½ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის ს ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

**6 დღე ხუთშაბათი.** ფერის-ცვალება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ხსნილი თევზითა. კურთხევა ყურძნისა და სხვა ხილისა. კათოლ. ფერის-ცვალება უფლისა. პეტრესი და იოანნასი. სომეხ. წმ. ანდრიასი, იმის მეუღლის ნატალიასი და სხვ. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—54. მთვარე 30 დღისაა.

**7 დღე პარასკევი.** ღირსისა დომენტისა. კათოლ. კაეტანისა, ფაუსტინასი და დონატისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—53. მოხდება არა-სრული დაბნელება მზისა კავკასიაში. დაბადება მთვარისა 8 საათსა და 42 წუთზედ.

**8 დღე შაბათი.** წმ. ემილიანესი. კათოლ. ცირიაკისა და ვიტალისისა. სომეხ. ეფესოს წმ. კრების 200 მამა-მთავართა. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—52. მთვარე 2 დღისაა.

**9 დღე კვირა.** წმ. მოციქ. მატათასი. კათოლ. რომანისა და ვლადიმირასი. სომეხ. აღების-ღამე წმ. ღვთის-მშობლის მარხვისა, მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი. 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—14, ჩადის 6—51. მთვარე 3 დღისაა.

**10 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. ლავრენტისა. კათოლ. ლავრენტისა და ტერსილიასი. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—50. მთვარე 4 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | » |
| » 2 » | 2½ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ძვალის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | » | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი . . . . | 13 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა ბათუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭის რო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ ამა მდგომარე 1887 წ. ენკენისთვისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში ორმოცი (40) ვაკანსია იქნება, მეორეში ექვსი (6) და მესამეში და მეოთხეში შეიძლება მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდეს ვაკანსია. პირველს განყოფილებაში მისაღებ ყმაწვილებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 15 აგვისტოდამ 25-დის და თან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მოწმობანი წლოვანებისა და აზნაურობისა, ანუ ბანკის გამგეობის კვიტანცია, რომ მოსწავლის მშობლები (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთაგანი არიან. პირველს განყოფილებაში შვიდისა და რვა წლის ყმაწვილი მიიღება, მეორეში ცხრისა, მესამეში ათისა და მეოთხეში თერთმეტისა. თანახმად საბანკო კრების გარდაწყვეტილებისა, სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ყმაწვილის მიბარების უფლება აქვთ ქუთაისის გუბერნიის ყოველი მაზრას თავად-აზნაურთა. (8—5)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა
ს. მგალობლიშვილისა
I მტვრევაზე
II დიდ ზალაში
ფასი ორი შაური.

Дозв. цен. Тиф. 5 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე